2015 წლის 29 ოქტომბერსს №11/10 ხელშეკრულებასთან

შეთანხმება №01

ქ. ონი 18 ნოემბერი 2015 წელი

**ონის მუნიციპალიტეტი** (სკ-237978275), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", **წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი ლობჯანიძის სახით** და ი/მ "შოთა მაისურაძის" (სკ-34901009252) შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად" სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები, მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობის, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის თანახმად ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების პირობები

1.1 ონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 11/11/2015 წლის წერილზე რეზოლუციის, ხელშეკრულების მიმდინარეობის ზედამხედველის დასკვნის და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, 29/11/2015 წლის 11/10 ხელშეკრულების – "ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში წედისში და უწერაში შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა" მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად შეწყდეს ხელშეკრულება.

მუხლი 2. დასკვნითი დებულებები

2.1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ საბოლოოდ ხელისმოწერის დღიდან და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობასთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხი რეგულირდება 2015 წლის 29 ოქტომბერსს დადებული №11/10 ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

2.3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან.

ზემოთაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთაღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე შეთანხმებას.

რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| *ონის მუნიციპალიტეტის გამგებელი* | *ი/მ "შოთა მაისურაძე"* |
| /*გიორგი ლობჯანიძე*/ | /*შოთა მაისურაძე*/ |
| ქ.ონი, დ.აღმაშენებლის მოედანი №1 | *ონის რაიონი, სოფ. წედისი* |
| ტელ.: 551 550403 | ტელ.: 557 277740 |
| ს/კ 237978275 ანგ №**GE24NB0330100165022** | ს/კ 34901009252, ანგ. № GE35BG0000000551101800, |
| სახელმწიფო ხაზინა ბ.კ. **TRESGE22** | სს "ლიბერთი ბანკი" ბ.კ. LBRTGE22 |

ონის მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ გიორგი ლობჟანიძეს

კლიმატური პირობების გამო ვერ ვასრულებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს განსაკუთრებით გამძიმდა ხელით სამუშაოების შესრულება.
გთხოვთ შემიწყვიტოთ ხელშეკრულება №11/10 გაფორმებული 29 ოქტომბერი 2015 წელი .

- 11 ნოემბერი 2015 წელი

ინდ მეწარმე

„შოთა მაისურაძე"

ხელშეკრულება № 01/11

ქ. ონი 9 ნოემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მისი გამგებლის გიორგი ლობჟანიძის სახით და მეორე მხრივ შ.პ.ს ,,საკაურა 2014" (შემდგომში "მიმწოდებელი") მისი წარმომადგენლის ნონა აბესალაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

**2. შესყიდვის ობიექტი, შესყიდვის საშუალება და ხელშეკრულების ღირებულება**

2.1 შესყიდვის ობიექტია ქ. ონში სამხარეო საკონსლულტაციო საბჭოს სხდომასთან დაკავშირებით მოწვეული სტუმრების კვებითი მომსახურება.

**2.2 სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 1500 (ათას ხუთასი) ლარი (წარმომადგენლობითი ხარჯი)**

**3.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების კონტროლს ანხორციელებს ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ უფლებამოსილი პირი.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი საშუალებებით.

**4. მომსახურების გაწევის ვადა.**

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება: 2015 წლის 9 ნოემბერს.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

**6. ანგარიშსწორება**

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში

6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

6.3 ანგარიშსწორების გრაფიკი (მხარეთა შეთანხმებით) (ეტაპობრივად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში).

7. ფასები

7.1 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. . უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. სუბკონტრაქტორები

10.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

11.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

11.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან

მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით,კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. ხელშეკრულების ენა

14.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

15. შეტყობინება

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. გადასახადები და დაბეგვრა

6.

16.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან 2015 წლის 10 დეკემბრამდე.

18. სხვა პირობები

18.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და მეორე პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

18.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა

/გიორგი ლობჟანიძე/
ქ. ონი, დ.აღმაშენებლის მოედ.№1
ტელ.: 551 55 04 03
ს/კ 237978275
ანგ. № GE24NB0330100165022
სახელმწიფო ხაზინა
ბ.კ. TRESGE22

მიმწოდებელი:
შ.პ.ს ,,საკაურა 2014 "

/ნონა აბესალაშვილი/
ქ. ონი, მაისურაძის ქ.#2
ტელ.: 551 55 73 46
ს/კ 416314107
ანგ. № GE81BG0000000853879100
ს.ბ. "საქართველოს ბანკი"
BAGAGE22

16.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან 2015 წლის 10 დეკემბრამდე.

18. სხვა პირობები

18.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და მეორე პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

18.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა

/გიორგი ლობჯანიძე/
ქ. ონი, დ.აღმაშენებლის მოედ.№1
ტელ.: 551 55 04 03
ს/კ 237978275
ანგ. № GE24NB0330100165022
სახელმწიფო ხაზინა
ბ.კ. TRESGE22

მიმწოდებელი:
შ.პ.ს „საკაურა 2014 "

/ნონა აბესალაშვილი/
ქ. ონი, მაისურაძის ქ.#2
ტელ.: 551 55 73 46
ს/კ 416314107
ანგ. № GE81BG0000000853879100
ს.ს. "საქართველოს ბანკი"
BAGAGE22

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ონი 9 ნოემბერი 2015 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ქ. ონში სამხარეო საკონსლულტაციო საბჭოს სხდომასთან დაკავშირებით მოწვეული სტუმრების კვებითი მომსახურების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ონის მუნიციპალიტეტის გამგებელი

გიორგი ლობჯანიძე

შ.პ.ს ,, საკაურა 2015"

დირექტორი: ნონა აბესალაშვილი

# ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

N 39
06/11/2015

## ბრძანება

39-07-4-201511061353

ქ.ონი

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯიდან თანხის გამოყოფის შესახებ

ონის მუნიციპალიტეტში სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გამოყოფილ იქნას ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯებიდან1500(ათასხუთასი)ლარი ,ქ.ონში სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებით.

2.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვლადიმერ ჩლაიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე